საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირმის მღიერი

ირმის მღიერი

ირმის მღიერი, ირმის ხავსი, იაგელი (Cladonia rangiferina) ბუჩქისებრი ლიქენები კლადონიას გვარისა. გავრცელებულია დიდ ფართობებზე ტუნდრისა და ტყის ზონებში. ჩრდილოეთის ირმის საუკეთესო საკვებია ზამთარში.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. ჩვენთან გვხვდება ასევე ალპური ი. მ. (C. alpestris) და ტყის ი. მ. (C. sylvatica). ირმის ხავსი ი. მ-ის უმართებულო, თუმცა საკმაოდ გავრცელებული სახელწოდებაა.